

# საქართველო

# 4

თებერვალი  
1988

პლაკატი ზ. ფორმისძე



ცრემლი მომადგა, მრისხანე-  
ბის ცრემლი!.. მაგრამ მისი  
სიტყვები წინასწარმეტყველება-  
დაც ჩავთვალე — ამას თითქოს  
მთელი მსოფლიოს მომავალი  
ამბობდა: „ოში არ იქნება!..“

არ დაანახებდა! მამ, დღეს რა  
მუნი გვჯამს, რომ უკვე სხვადა-  
ლა ვლაპარაკობთ პროსტრუ-  
ციაზე, შიშველი ბარძაყებით თა-  
ვიან, შიშველი ბარძაყებით თა-  
ვიან

ბიზლირთა

ააა, გავიდა წელი განსაც-  
დელის, წელი ზვავთა ლამპრო-  
ბის, წყალთა აღზევების, მეწყერ-  
თა მთქნარების... წელი შენი ნა-  
ჭვლი ნებისყოფის ჯოჯოხეთური  
გამოცდისა!..

ჩემო საქართველოვ, შენ კიდევ  
ერთხელ დაამტკიცე, რომ შენი  
სულის ჯავშანი რწმენა იყო და  
ისევ რწმენაა — ეს წაუქცეველი,  
აუღებელი ციტადელი!..

აქამდისაც ბევრჯერ გიმკია  
ცეცხლი და გიგრებია წყალი!..

შენი შვილები უფრო ძლიერნი  
აღმოჩნდნენ, ვიდრე მთებო, ვიდრე  
აშვებული რიონი და კალაპო-  
ტიდან ამოღვრილი ენგური!..

მიდი-მოდის წუთისოფელი!.. მი-  
იღვრება დრო და საზრუნავი  
საზრუნავს ემატება!.. ყოველი  
დღე თავისას მოითხოვს! მომა-  
ვალს ღირსეული შეხედრა უნდა!  
ჩვენ კი ჯერ კიდევ ბევრი ჩარა-  
ზული პრობლემა გვაქვს დასა-  
ლაშქრავი! ტყუილად გვეგონა, რომ  
რევოლუციის ისტორიამ ჩაიბარა და  
ჩვენ მხოლოდ მისი ნაყოფი უნ-  
და გვაქრიფა! ჯერ კიდევ დადის  
ჩვენს ქვეყანაში ძველის უძველო  
და უსოცო აჩრდილი! ჯერ კი-  
დევ გვაქვს მადაგასიებული ადა-  
მიანები, ვისთვისაც ცხოვრება  
მხოლოდ სხეულის ფუფუნება, სი-  
ზარმაცის ტკბილი მთქნარება და

მკაცრ დედად, ამიტომ დავაბრუ-  
ნეთ გადაკარგული სახელები თა-  
ვიანთ სამშობლოში და კაცობ-  
რიობის კულტურულ საგანძურს  
ბევრი ახალი ფურცელი დავუ-  
მატეთ!

გარდაქმნა! — ეს სიტყვა  
დროშასავით უნდა ფრიალებდეს  
ჩვენს ყოველდღიურობაში, რათა  
უკვე დაშვებული შეცდომები  
ძველი ქალამნებივით მივყაროთ  
კუთხეში და სწორზე გავიდეთ!

ბევრი გვევალება, ბევრი გემარ-  
თებს!..

ჯერ კიდევ ბევრი რამ სტიკვა  
ჩვენს ცისფერ პლანეტას — ჯერ  
კიდევ ბევრგან ყმუის სიკვდილი,  
ითესება ტყვია და ცეცხლი!.. იმ  
დღეს ჩემს პატარა გოგონას, ჯერ  
სამიც რომ არ შესრულებია,  
თვალი მოეკრა ტელევიზორის  
ეკრანზე აბრიალებული ცეცხლი-  
სათვის, ფოლადის უზარმაზარი  
ხოჭოებისათვის, და გადიდებულ,  
ლამაზ თვალებში ისეთი შიში  
ედგა, კგული მომეწყლა, მერე  
სათამაშოებს მიუბრუნდა და თო-  
ჯინები დაამშვიდა — „ოში აღ  
იქნება, ნუ გეხინიათ!..“

არ უნდა იყოს!..

ამ ახალ წელს კიდევ უფრო  
უნდა გავანელოთ პოლიტიკური  
კონფლიქტების აშიშინებული წყუ-  
რვილი, კიდევ უფრო მეტი მა-  
ხვილი გადავადნოთ უროდ და  
ნამგლად!..

„ოში არ იქნება!..“

ჩვენ მშვიდობის ჯარისკაცები  
ვართ! ჩვენ მოვსპეთ ფაშიზმი!  
ჩვენ ამოვდეთ აპური პოლიტი-  
კური ავანტიურების აშვებულ  
ქოფაქებს, ჩვენ ვაშენებთ და ვთე-  
სავთ, ამიტომ მშვიდობა ჩვენი  
მომავლის მეგზურია!

იყოს ეს წელი სიმრავლის, აკვ-  
ნების სიუხვის!.. წარსულმა ბევრ-  
ზე ჩაგვაფიქრა, უფრო თვალღიად  
ჩაგვანება სარკეში! ჰოი, საკ-  
ვირველებავ! საიდან გაჩნდა სა-  
ქართველოში ამდენი მანამდე  
უნახავი და უსმენელი პრობლე-  
მა? ადრე ქართველი ქალი ფე-  
ხის შიშველ კოჭებს მზესაც კი

მომწონე გარყვნილებაზე? რო-  
გორ დავიჯეროთ ან როგორ ეკა-  
დრებათ ეს იმ ერის სვილებს,  
ვინც ქვეყანას ქალური კდემამო-  
სილებს, შინაგანი სიწმინდისა  
და ზნეობრივი უბიწოების სა-  
კვირველება — ქეთვანი მის-  
ცა?

როდის გავგერღვა სულის სა-  
მოსი? რად ჩავცვივდით მწერი-  
ში? ამ ახალ წელს უფრო თავ-  
დადებით, უფრო დაუნდობლად  
უნდა ვებრძოლოთ ყველაფერს,  
რაც თავიდან ქუდსა გვხდის  
და სიმყრალით გვივსებს!

ალარას ვამბობ ნარკომანიაზე!..  
ეს ხომ საკუთარი თავის ანა-  
თემაა, საკუთარი დედის ძუძუ-  
კალთის ლანძღვაა, ერის სალო-  
ცავში შეფუტრთება და შარ-  
ვალ-ხალათში ისე დაკარგვაა.  
რომ მხოლოდ ყოვლისმომცემმა  
სიკვდილმა მოგნახოს!..

საქართველოვ! მოიგლიჯე გუ-  
ლიდან ნარკოტიკების ეს თავზე-  
ხელაღებული კანიბალები, რა-  
მეთუ ერთი მწიკვი ანაშისთვის  
ძუძუებს დაგაჭრიან, ბირთვისის  
აიხეს თემურლენგს მიჰყიდონ!..

თანამედროვეობის ეს საჭუ-  
რისები ლაყე კვერცხებივით ყრიან  
მომავლის საბუღარში და ცვედა-  
ნის კრუტუნით სვდებიან მზის  
ამოსვლას!..

საქართველოვ, ანათემას მიევ  
ყველა, ვინც ისედაც რიცხვმცი-  
რე ერს სამამულე რქას უხმობს!..  
სირცხვილში ჩაფალ მათი უღედ-  
მამო სახელები, აღმზრდელი, გამ-  
ზრდელი!..

ჰოი, მზეო, დიდო წარმართო,  
მიცოცხლე ჩემი ერი, მიევ მას  
ძალა ძლიერებისა და დღეგრძე-  
ლობა უკვდავებისა!..


ჯემალ აფსიაური  
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



ხალხის ჯიბიდან დატაცებული  
კეთილდღეობა! ჯერ კიდევ ვალ-  
ში ვართ მათ წინაშე, ვისი სისხ-  
ლიც ტყვიით დაცხრილული დრო-  
შებივით ეფინა ბარიკადებს!..

ბევრი გვასწავლა ბრძენმა წუ-  
თისოფელმა! — თურმე ცერცვი-  
ვით გვიყრია არაფრისმთქმელი  
სიტყვები და ყალბი ტაშით ან-  
თებულ ხელისგულებსაც ხშირად  
ვიგრილებდით!.. მზეს ვუმაღავ-  
დით იმას, რაც ყველაზე მაღლა  
უნდა აგვეწია, რათა ხალხს დაე-  
ნახა, ეგრძნო, ეფიქრა!.. და ასე,  
უკითხავად სცვიოდა კენჭი და დუ-  
ღაბი ჩვენი რწმენის კედელს!..  
ამიტომ იქცა დღეს გარდაქმ-  
ნა ყველა ჩვენი საქმის, სიტყვ-  
ებისა თუ აზრის კეთილ, მაგრამ

მე გამსძალოყლი ვარ  
იმ მხრიით, რომ ხალხითა  
შინის კანტი დამოკი-  
დობყოობის ტარებე  
აზი აქეს შვიდა სავა -  
სითიფლოის.  
ილია ქაჭჩაფაძე



— შერევილებო, იქნებ თქვენ გამატანინოთ მანდარინი?

# გაბოსულები

## ლია წერილი


თბილისის ცივმეურნეობის ხელშეწყობისათვის

ჩამოცვივდა ზეციდან თოვლი, ყინვა, ქარები...  
 მზეო, ხომ არ შეგცივდა, ღრუბელს რომ ეფარები?  
 ზამთარს კვლავ არ ველოდით და სახლმშობრთველს ვაძაგებთ:  
 „შიშურ საქართველოში“ სიცივისგან ვაძაგებთ...  
 ვგრძნობთ პროგრესის სიკეთეს სახლში ჩაცმულ პალტოზე  
 და კარაქის ბრიკეტებს ვაწყობთ რადიატორზე...  
 ქარები დაგვიცინიან და თბილისი ამჩატდა...  
 ნუთუ უფრო ცივია კოლიმა და კამჩატკა?  
 თუ არ ვინდობთ ერთმანეთს და არც რამე გვანადვლებს,  
 არაუხ დაველვით, ღმერთმანი! — ყველა კანონს დავარდევით!  
 როცა დაგვინახავენ აკრძალულ შხამს შესეულთ,  
 მაშინ გაგვილახავენ ალბათ ცივ-თბო-მესვეურთ!  
 ახლა თვით გვშურს (ისე ვართ!) ჩრდილოეთის ბუნება:  
 ნუთუ არ გვეღირსება მათსავით ჩათბუნება?  
 რაკი ვიცო, თბილისის შენ გამთბობი არა ხარ,  
 ამ ლექსისთვის ძილის წინ ყინვით უფრო გამლახავ!..  
 მეტს არას გთხოვ, მოსკოვში ვითომ შესათანხმებლად  
 როცა წახვალ, მეც მაშინ წამიყვანე თანმხლებლად!  
 რადგან ცვივა ზეციდან ზამთრის ყველა „როსკოში“,  
 რადგან მცივა, მეც მინდა ვყოვო გამთბარ მოსკოვში  
 გრძობით ვიცემინებით თითქოს (აფცხი...) ტიტველნი!  
 გწერთ პატივ-ციმინებით თქვენი აკციპიტერი!



## პროზაული ლექსი

გაბომ ხელისგულზე დაიხედა, ბაღნები არ ჰქონდა, დაფიქრდა:  
 — ვითომ რატომაო?  
 როგორც ავტომატი, ბუნებამ ასე გაკრიალებული რისთვის  
 დატოვაო?  
 ალბათ ტაშისთვისო და მაშინ გადაწყვიტა:  
 — უნდა ავითვისო ეს ხელობაო!  
 კიდეც აითვისა და საქმე დაივიწყა ამისთვისაც.  
 სულ „ვაშა-ვაშა“ ივაშვაშა, დაილალა გაბო ტაშით.  
 ამორდავით დაეუფლა რბილ სავარძელს...  
 კაცმა არ იცის, სანამ გაძლებს, მაგრამ ვიდრე არის, ვით რეა-  
 ლისტს ეკადრება, არად ავდებს სათნოებას, ცხრაში რომ კაცს  
 სიტყვას აძლებს, ივიწყებს ათ ნოუშპურს.  
 „თუ ვინმემ რამე ურჩია, მასვე მიასაღებს საკუთარ იდეად.  
 ხელქვეითებთან ურჩია, უფროსებთან ფუნჯია, რბილად რომ მოეს-  
 უას პალიტრას.  
 ზოგჯერ ჩუმად გადახუნავს „პალ-ლიტრას“, ისე სიფხიზლის  
 გუშავია.  
 არა უშავს კია, მთხოვნელებთან სულ ღიმილი აკერია, მაგრამ,  
 თითქოს პოკერია, ბლფეს თამაშობს.  
 „კო-კაცოს“ ეძახიან, უარს არავის ეტყვის, მაგრამ როგორც  
 პიკასოს არ გაუნლერია ატომი, ისე არც გაბოს გაუკეთებია ნახ-  
 ტომი ვინმეს სამველად.  
 ასეთია გაბო ვითარებათა სხვათა და სხვათა გამო.



— რას გაჩერებულხართ?! მომეხმარეთ!..

აკსიანიძე

# ღვინის ქურდები



ფელეტონი

**პარანის** გმირები არ გეგონოთ: გივი ბერიკაშვილი და ძმანი მისინი კახი კახაბის მარანში რომ შეიპარნენ და ქვევრის თავზე „მრავალგამიერი“ დააგუგუნეს! — ღვინის ქარხნის ქურდებზე მოგახსენებთ! საქმე ის არის, რომ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა გურჯაანის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ყვარლის ავტოკოლონის მძღოლ-ექსპედიტორის **ჯ. ვ. ავეტოვი**-სა და ვინმე **გ. ნ. ჭინჭარაული** ს მიმართ.

დიდი მოხერხებული კაცის სახელი ჰქონდა **ავეტოვს**. ფულის მხარჯავ ბიჭად თვლიდნენ და ძმაცაცებიც ბლომად ეხეოდნენ. თავლი იყოს, თორემ ბუზი ყოველთვის გამოჩნდებოდა, გუნებაში გაივლებდა ხოლმე და მერე მათ გასაგონად დასძენდა: ჭკუით უნდა ცხოვრება, ჭკუითო! თავისი გამჭრიახი გონების წყალობით არცინიან ცხოვრობდა **ავეტოვი**, სანამ მისი საქმიანობით არ დაინტერესდნენ.

მაინც რა გონებაგამჭრიახობისა და დამსახურებასათვის მიიქცია **ავეტოვმა** ყურადღება?

ამბის თხრობა რომ არ გვაგვიანუროთ, მოკლედ გეტყვი: მიმაგრებული იყო რა ყვარლის რაიონის ქინძმარაულის საწარმოო გაერთიანებაზე, მასზე გაპიროვნებულ ავტოცენტრანში დაამონტაჟა კუსტარული საზომი ხელსაწყო, რომლის საშუალებით ყოველ რეისზე ტბილი ლუკმა გაიჩინა — იტყვებდა 30 ლიტრ ღვინომასალას.

მადა ჭამაში მოდისო, უთქვამთ, **ავეტოვს**აც ეცოტება ბოცა-ნახევარი ღვინო და ლუკმის გაზრდის დამატებითი გზის ძებნას შეუდგა. იპოვა კიდევ. როგორც შემოწმების მასალებიდან ჩანს, 1986 წლის სექტემბრიდან მოყოლებული მის გადაზიდულ ღვინოში ლაბორატორიული შემოწმებით აღმოჩნდა 0,1-0,2 მოც. პროცენტის რაოდენობით ეთილის სპირტის დანაკლისი.

დანაკლისი რის დანაკლისი იქნებოდა, თუ მის სათავეს არ მოიძიებდნენ და ხელისგულივით არ წარმოაჩენდნენ **ავეტოვის** მოძრაობის გრაფიკს. აი ისიც: ახალსოფლის ღვინის ქარხნიდან გურჯაანის ღვინის დამამუშავებელ ქარხანაში გადაზიდა 521,4 დეკალიტრი „პურეთი“, ხოლო გურჯაანის საწარმოო გაერთიანების შრომის ღვინის ქარხანაში — 1043 დეკალიტრი ღვინომასალა „შუაშა“ და 521,2 დეკალიტრი „გარეჯი“, შილდის ღვინის ქარხნიდან თელიანის ღვინის ქარხანაში — 1614,8 დეკალიტრი „საფერავის“ ღვინომასალა, ენისლის ღვინის ქარხანაში — 1073 დეკალიტრი საკონიავე ღვინომასალა, ქინძმარაულის მიწისქვეშა ღვინის საცავში — 1053,8 დეკალიტრი „ვაზისუბნის“ ღვინომასალა.

— იცი, ჩემო მკითხველო, რას ნიშნავს 0,1-0,2 მოც. პროცენტი? ეს სომ ტონობით ღვინო! ამ დროს კი საქმისადმი

არნახულ გულგრილობას იჩენენ გამგზავნი ქარხნების სპეციალისტები — ახალსოფლისა და შილდის წარმოების უფროსები **ა. ხუციშვილი** და **ო. ბურკიაშვილი**, ქინძმარაულის გაერთიანების ცენტრალური ლაბორატორიის გამგე **ე. ათუაშვილი** და მთავარი ბუღალტერი **თ. ავაზაშვილი**, რომელთაც რეაგირება არ მოახდინეს ეთილის სპირტის შემცველობაში გამოვლენილი სხვაობის მიზეზის დასადგენად.

საინტერესო პოზიცია დაიკავეს ლაბორატორიის თანამშრომლებმა, თითქოს მათ ადვილად ქიმიკოსები კი არა, ალქიმიკოსები ყოფილიყვნენ! სმაშეწყობილად და სინქრონულად მოქმედებდნენ **მ. ალიაშვილი**, **ნ. ხიჯაკაძე**, **გ. მირიანაშვილი**, **მ. ნარსიაშვილი**, **ლ. დოღმაშვილი**, **მ. ტატუნაშვილი** და **მ. მაისურაძე**, როცა გამოძიებას აძლევდნენ ინფორმაციას, თითქოს ეთილის სპირტის 0,1-0,2 მოც. პროცენტის სხვაობის შემთხვევაში ქარხნები ერთმანეთს პრეტენზიას არ უცხადებენ, ვინაიდან სპირტიანობის გაზომვისას სპირტსაზომისათვის სტანდარტით დაშვებულია ცდომილება 0,1 მოც. პროცენტის ფარგლებში, რაც არასწორია, რადგან სხვაობის შემთხვევაში ლაბორატორიული მონაცემების საფუძველზე უნდა დადგინდეს, თუ რითაა გამოწვეული განსხვავება.

ქიმიკოსების პოზიცია დაიჭირეს ბუღალტრებმაც. ფხსების საკავშირო სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების მოთხოვნით, ეთილის სპირტის შემცველობაში დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაში ბუღალტერია ვალდებული იყო მოეხდინა სათანადო რეაგირება ზარალის ახანაზღაურებლად. რა გამოდის? იქმნება ჯაჭვი, რომლის რგოლებს დაკარგული აქვთ ფუნქცია — არ სრულდება სამსახურებრივი მოვალეობა და **ავეტოვის** ნაირ საქმოსნებს ასპარეზი


ედღევათ! ნათელი სურათია, როცა ხელი ხელს ბანს, ორივე კი — პირს.

ბუღალტრული აღრიცხვის დარღვევაა აგრეთვე „სახაქონლო-სატრანსპორტო შედნადების“ ფორმების ვგზემპლარების არადანიშნულუბისამებრ ჩაპარება. განა სადავოა, რომ იგი უნდა ფორმდებოდეს საკავშირო ფინანსთა სამინისტროსა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით? დაუდევრობას ამ საქმეში ის მოჰყვა, რომ **გ. ხიჯაკაშვილის** სახელზე გამოწერული №027165 სატრანსპორტო შედნადების ორი ვგზემპლარით ისარგებლა **ავეტოვმა**, ყვარლის ავტოკოლონში გააფორმა საგზური თბილღვინოში „გარეჯის“ გადატვირთვაზე, რომლითაც 550 დეკალიტრი ღვინომასალა ჩამოიტანა თბილისში და 4.400 მანეთად მიჰყიდა ან უკვე ბრალდებულ ჭინჭარაულს.


სატელევიზიო ფილმში მასპინძელს, ელიბოს, ღვინის ქურდები სიძუნწეში სდებენ პრალს და, როგორც ფინალიდან ჩანს, კლიბო ძუნწი კი არა, კარგი მომღვინიც გამოდგა... ვერც ქინძმარაულის ღვინის საწარმოო გაერთიანების მესვეურებს დავდებთ ბრალს სიძუნწეში... პოლა, საქსახაგრომრეწვის ბრძანებით მის გენერალურ დირექტორს **ი. გზირიშვილს** დაევალა მსგავსი დარღვევებისა და დაცემის ფაქტების თავიდან აცილების მიზნით გაატაროს მკაცრი ადმინისტრაციული ზომები ახალსოფლისა და შილდის ღვინის ქარხნების წარმოების უფროსების, გაერთიანების ცენტრალური ლაბორატორიის გამგისა და მთავარი ბუღალტრის, აგრეთვე ქიმიკოსების მიმართ.

რაც შეეხება ღვინის მთავარ ქურდს **ჯ. ვ. ავეტოვს** (და მის კლიენტს **გ. ნ. ჭინჭარაულს**), მათ ხვედრს სამართლო გაარკვევს.

ქ. გოგილაური



ნახ. ბ. ფუბაშვილისა



— რატომ დაიდეთ ჩვენი ცოდვა?! გულოდათ დი-  
ლამდე ეს ხალხი გამოსაფხიზლებელში..

მიღების დღეა!  
მაგრამ არა ჭილღოს მიღების,  
არც აბაზანის,  
არც მოსავლის,  
არცა — ხელფასის!..  
გაღერეა მისაღებთან  
თითქოს ნიღბების,  
და წნევის ურო  
აძლიერებს დარტყმას კეფაში!

მიღების დღეა!  
დღე — ჩახჩახა,  
როგორც ნატვრის ხე,  
ჩათქმული ჩერები რომ ასხია  
ჭრელჭრულ ფოთლებად;  
ფიქრი წინდაწინ გადააკრავს  
სახეს ატმის ფერს,  
წინდაწინ აჩვევს  
შიშის განცდას თუ შეშფოთებას.

ზოგში ნაქები ნებისყოფა  
ისე მიშქრალა,  
იერზე ვატყობ,  
რომ ვიღაცას მწარედ აგინებს!..  
ზოგიერთი კი  
თავმოყვარე გახლავთ იმგვარად,  
გაწბილებულიც,  
კმაყოფილი ტოვებს კაბინეტს.

მიღების დღეა! —  
შესაფერი მტკონური ქნარის,  
დე, იგი ქნარიც  
ღირსეულის  
ხელდებით ეღერდეს!  
მძიმედ იღება  
დერმატინის ორსული კარი,  
ასევე მძიმედ იხურება  
„შემდეგის“ შემდეგ.

მიღების დღეა!  
რომ ერგება ყოველგვარ ამინდს  
ღიმილწახმული დაპირების  
განგაძობის უამი;  
დღე, როცა სიტყვებს არიგებენ,  
როგორც რეცეპტებს,

# მიკოუბის კოე

რომ პაციენტი  
არარსებულ წამალს ეძებდეს!..

მიღების დღეა!  
სიმჭიდროვე გადარდებს რიგის,  
მიინც იესოს მოთმინებით  
ამ რიგს მიჰყვები;  
შიშობ კიდევაც, —  
შესაძლოა დამთავრდეს იგი  
შემონახული ათასგვარი  
აბის მიღებით!..

ავადდებულზე საკუთარ თავს —  
ბოლომდის გაძლოს  
ლოდიში ლამის დაიბერონ  
ძარღვები ურულოთ  
და შესციციებ  
მოქალაქის  
ბედ-იღბლის სასწორს,  
სულ რომ მერყეობს  
უარსა და თანხმობას შორის.

მიღების დღეა!  
ჩასადენი რაღაც გმირულის  
(ჯავრიან გულზე  
შესაძლოა აქაც იუვილო)



საქმე, ათასგზის შესწავლილი  
და განხილული  
ათასმეერთედ შეისწავლონ  
და განხილონ!..

გარეთ კი  
კვლავაც ჩვეული გზით  
ცხოვრება მიდის,  
ახალ-ახალი ნარგავებით  
ამკობენ ქუჩებს,  
ბელურებისთვის  
უჭობნია ბავშვების ტიტინს,  
სხვა მხრივ ჩიტუნებს  
ასეთ მზეში რა დააუჩრებთ?!

მიღების დღეა!  
მთელ კვირაში  
მარტო ერთი დღე,



ხოლო ამ დღემდე  
დრო რარვიად ზანტობს,  
მე მკითხეთ!

მინდა შევძახო  
მთხოვნელთა რიგს:  
შესაძლო არის,  
— გულს ნუ გაიტებთ,  
რომ დღეის სწორს  
დადგეს კაი დღე!..

ოთარ შალამგერიძე



# პლასტილინი

ნოველა



ლად წარმოთქვა) წითლები აღარაა, გაურკვეველი, ჩვენი აზრით, კომპრომისული ფერი გადაპკრავს და უკეთეს შემთხვევაში — რეკლამაციის სუნი ასდისო...

...მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახლა კი ოცდაათისა განსვავართ და ერთ-ერთ რძის კომბინატში ერთ-ერთ საამქროს განვავებ. სულ წითელ-წითელი გარდამავალი დროშებითა მაქვს კაბინეტი მოჩითული. გეგმებს ვასრულებ, რომელია... წინათ საკავშირო ჯილდოც დავიმსახურეთ. „ყოჩაღ, მაღლაღეც!“ — მხარზე ხელს მითათუნებენ ჩემი უფროსები, მაგრამ ხანდახან ელდასავით გამასხენებს თავს ბავშვობის დროინდელი ფიასკო — ერთიც ვნახოთ და იმ ინსპექტორივით პრინციპული ძია გამოტყვერეს საიდანღაც — რას შვრები მაშინ?

მით უმეტეს, რომ ნიკოლოზი (იგივე ნიკუშა) ახლა გამწვანების ტრესტში მუშაობს შოფრად და ვეება მანქანებით ეზიდება... წყალს!

გიჟო ჯარნამე

**სასწაული** რაღაცაა პლასტილინი!.. რა გინდა, მისგან რომ არ გამოიძერწოს, თუ რასაკვირველია, ოდნავ მაინც გაქვს ძერწვის სურვილი.

საბედისწეროდ, ბავშვობაში აღმომჩნდა ძერწვის უნარი, ჩემს ბავშვობაში, რომელიც ეგრეთ წოდებული ვოლუნტარიზმის აღზევების ხანმოკლე პერიოდს დაემთხვა. ბაღში ყოფნისას, მახსოვს, დულეცა მასწავლებელი ჩემს გვერდით მჯდომ ნიკუშას მუდამდღე მწვანე პლასტილინს აძლევდა, მე კი, ახლა რომ ვუფიქრდები, ალბათ მამაჩემის ხათრით, — სულ მუდამ წითელს.

ერთხელაც იყო, დაგვირიგა ერთნაირი ზომის წითელი და მწვანე პლასტილინის ფორმები და გვითხრა: აბა, თქვენ იცით, აქედან ტანკები გამოიძერწეთ და ეძვერეთ ერთმანეთსო!..

მე წითელი, ანუ „ჩვენი“ ვიყავი და, რა თქმა უნდა, დიდ-დიდი ტანკები გამოიძერწე, ნიკუშა მწვანე, ანუ „ისინი“ იყო და ბუნებრივია, ციციქა „ტანკუშები“ გამოაცოდვილა. განვალაგეთ ჩვენი რკინის რაშები ერთმანეთის პირისპირ და დაველოდეთ არმიის სარდლის — დულეცა მასწავლებლის ჩამოვლას.

როგორც იქნა, გაისმა აღლუმის დაწყების სიგნალი და სარდალიც გამოჩნდა სამხედრო საბჭოს რამდენიმე წევრის თანხლებით. გულმა ძგერას უმატა. თვალბგაბრწყინებული მომიახლოვდა, შენ ნამდვილი საბჭოთა ტანკები ჩამოგისხამსო, შემაქო. იქით ნიკუშასაც მოუწონა ნახელავი — ჭკვიანად მოქცეულხარ, შვილო, იმათზე ეგაც არამიაო, მაგრამ ბოლოს მაინც შუბლშეჭმუხვნილი მომაჩერდა.

— აი, ზორბა კია შენი ტანკები, მაგრამმ... რაოდენობითაა ცოტა! რვა წითელი ტანკისთვის ნიკუშას, ხომ უყურებ, ოცდაოთხი მწვანე ტანკი დაუპირისპირებია, — თქვა და სამწყობრო ნაბიჯით ცივად გაგშორდა.

სახე დამებრიცა და საგონებელში ჩავარდი. ფაფის ჭამა სულ დამავიწყდა.

— იცი რა, — სახელოში ჩამავლო ხელი ვერმიშელის ფაფით მოთხუნილმა ნიკუშამ, — მაგაზე ნუ იდარდებ!.. სვალ მე უფრო ცოტას გავაკეთებ ტანკებს, აი ნახავ, უფრო ცოტას გავაკეთებ!..

— მართლა?! — გამოვცოცხლდი უმალ, — მე კიდევ, ცოტა ზომაში მოუვალე და მეტი გამომივა. ვაშა!.. ოღონდ სსუ, მასწავლებელმა არ გაგვიფოს!

მეორე დღეს უკვე 16 წითელი ტანკი უბღვერდა ავისმომასწავებლად 18 მწვანე ტანკს. სტრატეგიული თვალსაზრისით ესეც მნიშვნელოვანი მიღწევა გახლდათ, მაგრამ სათვალავში მაინც მტრის იარაღი სჭარბობდა ოდნავ.

ჩამოუარა სარდალმა ჯარების განლაგებას, გულდაგულ შეათვალღერა, თითქოს პირველად გვხედავსო, და, რის მოფერება, რა მოფერება!.. ზედაც არ გვიყურებს! აალი-რა თავი ჭერში და ცრის: — გეტყობათ, ჯაშუშების გავლენაში მოქცეულხართ, დალესი თავისას არ იშლის, პოლიტიკური სიფხიზლე მოგჩლუნჯებიათ და კაპიტულანტურ გზას დასდგომიხართ!

ვერაფერი გავუგეთ. ბოლოს მაინც დამიყვავა: — სწორად კი მოქცეულხარ, ტანკების რიცხვი რო გაგიზრდია, მაგრამა, კუ ნამეტნავსაც ნუ იზამ, თორემ ემოტელა მოცუცქული წითელი ტანკი სად გაგონილა?!

ისევ დეპრესიაში ჩავვარდი (სარდლის სიტყვებია ეს), მაგრამ ისევ „მოწინააღმდეგემ“ გამამხნევა. მეუბნება ნიკუშა: მაგაზე ადვილი რა არის, სვალ ჩემი პლასტილინის ნახევარს სულ შენ მოგცემ, გურიე შენს წითელში და ყველაფერი წესრიგზე იქნება, პრობანგანდისტული თვალსაზრისით ჩემი ტანკები მაინც ფიორები უნდა იყოსო.

გავურიე. გვიასლოვდება მესამე დღეს დულეცა მასწავლებელი, გულდასმით ათვალღერებს საბრძოლო პოზიციებს და თვალს არ უჯერებს — 19 ზორბა წითელი ტანკი მრისხანედ იყურება 11 ციციქა მწვანე ტანკის მხარეს!..

— ყოჩაღ, მაღლაღეც!.. — მხარზე მომითათუნა ხელი სარდალმა და შოკოლადის ფილა ისე ოფიციალურად გადმომცა, თითქოს წითელი ვარსკვლავის ორდენი ყოფილიყო.

გათამამებულმა ვზარდე და ვზარდე ნიკუშას მწვანე პლასტილინის სარჯზე ჩემი წითელი ტანკების რიცხვი და, როდესაც საქალაქო დათვალღერებისას ჩემი ნამუშევარი რესპუბლიკური მნიშვნელობის ინსპექტორს აჩვენეს, — ერთი ფორმა პლასტილინისაგან 29 ტანკი დაამზადო, — ინსპექტორმა საბრძოლო პოზიციას ერთი ტანკი ააცალა, თვალბზნან მიიტანა და საბნის ბუშტიც გასცა: — მართალია, საკმაოდ ზორბა ტანკებია და რაოდენობაც სარეკორდოა, მაგრამ სამაგიეროდ და სამწუხაროდ ფრიად (ეს ორი სიტყვა ხაზგასმულად წარმოთქვა) წითლები აღარაა, გაურკვეველი, ჩვენი აზრით, კომპრომისული ფერი გადაპკრავს და უკეთეს შემთხვევაში — რეკლამაციის სუნი ასდისო...

ნ.ბ. ზუბაბოვილისა



უსიტყვოდ

# გვერდისუბნა ქ. ხოლი?

## ფელეტონი

ჩვენნი მანქანა ლანჩუთის რკინიგზის გადასახველს მიადგა. მძღოლმა დაკეტილი შლაგბაუმის დანახვაზე ისე ღრმად ამოისუნთქა, იფიქრებდი, გული ამოაყოლო.

— კაცო, სადაც დღეში ერთი მატარებელი ჩაივლის, იქ შეხედები რკინიგზაზე ხილს.

— თუ სადმე საჭიროა, პირველ რიგში აქ უნდა აეგოს! — თქვა უკან მჭდომმა გაბრაზებით.

— კაცი რომ დაჯდეს და იანგარიშოს, — ჩაერია საუბარში აქამდე ჩუმად მჭდომი იური, — წელიწადში აქ დგომით დაკარგული ღრმ და მანქანა-ტრაქტორთა საწვავის დანახარჯები ორ ხილს ააგებდა.

— მოდით, ჩამოვთვალთ, რამდენი საწარმო-დაწესებულებაა რკინიგზის გადამა, — თითები მოიმარჯვა დასათვლელად მძღოლმა, თანაც ფანჯარაში გადაიხედა. ეტყობოდა, გულზე მოქმედებდა ლოღინი და მანქანების გაუთავებელი გინაისი.

მანქანის ფანჯარა ჩამოვწვი, ხმა მინდოდა გამეგონა. — მიდი, მიდი! — ხელები გულზე გადაიჭვარდინა. — არ გინდა სიცოცხლე ხომ? შენი ცოლი სხვას დარჩება!..

ყველაზე წინ მდგომი მანქანის მძღოლს ეტყობოდა, ნერვებმა უმტყუნა, არაფრად ჩააგდო მუქარა და შეგონება, დაკეტილი შლაგბაუმის ქვეშ მანქანა გააძვრიდა.

ღარაჯი აღშფოთდა, ჯიხურის ბაქანზე მდგომმა, დაბლა ჩამოიბინა, ხელში დახვეული სარკინიგზო ალმები ეჭირა, ლიანდაგებს შორის მბრძანებელივით გაიჭვინტა.

შვიანი ამინდი იდგა. მანქანიდან დაბლა ჩამოვედი. იმხელა რიგი დღეინახე მანქანებისა, მეორეჯერ უკან მოხედვისა შემეშინდა. რიგი ორჯონიკიძის ქუჩის ბოლოში მოსახვევთან მთავრდებოდა...

რკინიგზის გადამა გადავიხედე. მანქანები ორ მწკრივად მომდგარიყვნენ. ერთი მწკრივის ბოლო რკინიგზის გაყოლებით ხილთან მთავრდებოდა, მეორე კი — ჩაის საბჭოთა მეურნეობის აღმნიშვნელ წარწერასთან.

მანქანაში ისევ ჩავჯექი. მძღოლი ისევ აგრძელებდა გამორჩენილ საწარმო-დაწესებულებების ჩამოთვლას.

— ხედავ? ოცზე მეტია!

— სტალიონი? — ჩაერია ზალიყო, — კიდევ კარგი, ფეხბურთის დღეებში ავტონისპექცია რკინიგზის გადამა არ უშვებს, თორემ ორი დღე დასჭირდებოდა მანქანების აქეთ გადმოსვლას.

— საყანე და სათიბები, საფოვრები და ფერები დაგავიწყდათ! — თქვა უკან მჭდომმა ჩემთვის უცხო აღამიანმა.

— ჩვენი რაიონის ტვირთბრუნვა, საქმიანი ეზოები, კიდევ რამდენი ჩამოვთვალთ? ამიტომ ვამბობ: გვეღირსება კი ხილი? — მძღოლმა ხელები გაშალა.

სადგურისაკენ გავიხედე. უელმოვლო ვაგონებს ვხედავდი. იქვე წინ და უკან დიზელიანი მიმწოლი მოძრაობდა, ერთი კი წამოვიდა ჩვენი და მეტი სადღაც ვაგონებს გვერდით გაუჩინარდა.


შლაგბაუმის ავტომატურმა წარმაც შეწყვიტა ყურთწამლები ხმა. ღარაჯი ჯიხურზე ავიდა, ხელი ღილაკს დააჭირა, შლაგბაუმმა აიწია. გზა გაიხსნა.

გაოგნებული აქეთ-იქით ვიყურებოდი — ამისათვის გაჩერდა ამხელა მოძრაობა?

კუპაური კუპაულბამი,  
„ნიანგის“ კორესპონდენტი.



## ბენზინი



— ბენზინისთვის მოხვედი თუ?!

# სახლის მამიკრად... ტბა!..

## ამონაწერი საჩივრების ტიპიდან

ტბა, რომელზე დაც მინდა მოვიტხროთ, მოკლებულია ყველა იმ სიკეთეს, რაც საერთოდ ხელოვნურმა ტბამ უნდა მოუტანოს ადამიანებს. იგი, პირიქით, წამლავს პაერს, ადამიანის ფილტვებს, მასში ჩაყრილი ათობით ტონა ნავაჯი ქმნის ანტისანიტარიას, ირგვლივ გამოსცემს არასასიამოვნო სუნს!..

სოსუმში ამ „ტბის“ წარმოშობას სუთიოდე წლის ისტორია აქვს. ერთ მშვენიერ დღეს მოვიდნენ მშენებლები თავიანთი მძლავრი მექანიზაციით, ათუსთუსდნენ ბუღლოზერები, ექსკავატორები, ამოთხარეს უზარმაზარი ორმო, ნახაზები გაშალეს, დაჭედეს კალაპოტები, ჩასახეს ბეტონის ხსნარი და ამოიყვანეს საძირკველი. ვითომ დაიწყეს სახლის მშენებლობა! ეს იყო და ეს. ამის შემდეგ არავინ იცის, რა შავმა კატამ გაირჩინა. კანტაკუნტად, თვეში ერთხელ ან ორჯერ თუ გამოჩნდება თვითმცლელი მანქანა და დამყაყუბული გზის ნაპირას დაყრის ნავაჯს, აქოდა ორმო უნდა ამოვავსოთ, რომ საძირკველში მართლა ტბა არ ჩადგესო. ასე დიდხანს თუ გაგრძელდა, ალბათ ბაყაყები, კოლოები და ქვეწარმავალთა სხვა ოჯახის წარმომადგენლებიც ჩვენსავით დაწერენ კოლექტიურ საჩივარს ზემდგომ ორგანოებში, საცხოვრებელი დაგვიწერიესო (თუმცა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება ადვილია, ახლომდებარე საცხოვრებელი სახლების სარდაფებშიც შეიძლება მათი გადასახლება, იქაც შესანიშნავი პირობებია შექმნილი ცივისსხლიანებისათვის ცივისსხლიანი მშენებელ-მემონტაჟების ნახელავის წყალობით).

მოგესხენებოთ, სოსუმი საკურორტო და ტურიზმის დიდებული მხარეა და აქ ჩამომსვლელთაგან შეიძლება ვინმე დაინტერესდეს ამ ახალი ტიპის ხელოვნური მიკროტბის ნახვით, ამიტომაც მსურველებს ვაძლევთ ზუსტ მისამართს: ქ. სოსუმი, ახალი დასახლების რაიონი, მე-3 მიკრორაიონი (მიკროინფარქტიანებს არ ვურჩევთ ამ ტბის ნახვას!). მნახველებს წინასწარ ვაფრთხილებთ, თან იქონიონ აირწინაღები, ხოლო ვინც ნერვულია და ბაყაყების კონცერტს ვერ იტანს, ყური დაიცონ ბამბით ან ჩვეულებრივი ბოთლის ვიწრო საცობით!..

დაინარჯა დიდი რაოდენობით ცემენტი, ლორღი, რკინა, საწვავი, დიდძალი თანხა. საძირკველი კი ისევ ამშორებულ ტბაშია ჩაძირული!..

„მაშალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო...“ დიდი მწერლის ეს სტრიქონები სოსუმის ახალი დასახლების რაიონის მე-3 მიკრორაიონში მცხოვრებლებმა ასე გადააკეთეს:


„დამყაყუბული ტბის ძირას დღეს საძირკველი არისო, რომელიც ქვეწარმავლებით და ნავჯის მთებით აივსო...“

ოთარ ნაჭყავია  
(ქ. სოსუმი)



საქართველოს  
მედიის  
სააგენტო

ეროვნული  
სივლითი



ნ. ა. კანდელაკიძე

106

88

# ახალი ტრამპლინი

ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით არა ერთი და ორი ლონისძიება განახორციელეს თოვლისა და ყინულის მოყვარულმა ორგანიზაციებმა. მათ შორის განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კასპის საწარმო-საგზაო უბანმა, რომელმაც მცხეთაში ისეთი ტრამპლინი „გააიმაქსა“, რომ მისი ნახვა „სასიამოვნოდ“ გაბურძენის ადამის ყველა შთამომავალს. საქმე შემდეგშია: არმაზიდან ორასი მეტრის მოშორებით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, იქ, სადაც რკინიგზის გადასასვლელია, გასული წლის გაზაფხულზე ნაპირ-სამაგრი სამუშაოები დაიწყეს, გათხარ-გამოთხარეს, გზის სავალი ნაწილი და-ავიწროეს და სპორტის სიყვარულით გულანთებულებმა მშენებლობას უეც-რად თავი მიანებეს და ტრამპლინიდან სტომის მოყვარულებს სავარჯიშოდ და

სასპარეზოდ დაუტოვეს მტკვარში გა-დასასტომი...  
ახლა, როდესაც თოვლი სვავრიელად წამოვიდა და გზებიც საკმაოზე მეტად მოიყინა, კასპელ გზის მშენებელთა გუ-ლის გასასხარად მის გვერდით გავლილ მძღოლებს ომანიანად შეუძლიათ შე-მოსძახონ:  
ფრთხილად, ძმაო, შენი ავტო აქ თუ უცხად მოსრილდა, კარგად იყავ, მტკვრის ზვირთებში კოტრიალა, კოტრიალა...  
გზის მშენებელთა მიერ მოწყობილ სახელდახელო ტრამპლინზე ვადამბტომ-თა რეკორდებზე ნაადრევია ლაპარაკი, რადგან ზამთრის სეზონი ჯერ კიდევ ძალაშია და რომელი ავტომანქანა აი-ლებს საპრიზო ადგილს, კასპელი გზის მშენებლები მარტის ბოლოსათვის გვა-ცნობენ.

3. არაგველი

## ანდრონიკ სალათელიანი

### მეერთაემის სიზმარი

სიზმრად ფულ მნათმა მეერთამემ ნახა სულ მნათი უფალი, შეტყადრა: „ღმერთო, მიშველი, რომ ვიყო თავისუფალი!“ უფალმა ხელი მოხვია: „ნუ გეშინია, ძამია, რაკი ჩემს ხელში ჩავარდი, ხახვიით შეგრიეს ქრთამია! არც შენ ჩაქედები ციხეში, არც სხვას მოლუვა ზიანი, აქ ერთი ანგელოზია, წმინდა და თავაზიანი. რასაც ის გეტყვის, იცოდე, უნდა აღსრულდეს ყოველი, თუ არ უსმინე მის რჩევას, დასაძერენს ნულარ მოელი!“ მას ანგელოზი გააცნო, გამოძიებლად ხმობილი, მიწაზე ზოგჯერ ცოდვილი, ცაში წმინდანად ცნობილი. ურჩია: „ხელს ვერ გახლებენ, მენდე მიწაზე ნაწვალებს, ჭიბე სულ გამოიფხიკე და თავი გიჟად ჩათვალე!“

სომხურიდან თარგმნა  
სტამფანი მხარბრაძემა

## უპრუნდაბით დაბეჭდილს

ჟურნალ „ნიანგის“ 1986 წლის 22-ე ნომერში დაბეჭდილმა ფელეტონ-მა — „ზოგჯერ ჭორიც მართლდება“ — დიდი სიხარული გამოიწვია სოფელ გურჯაანის ზემო წითელი უბნის (კამოს ქუჩა) მცხოვრებლებში. უმრავლესობას ეგონა, რომ გურჯაანის სასოფლო საბ-ჭოს აღმასკომისა და მევენახეობის საბ-ჭოთა მეურნეობის მესვეურები გულთან მიიტანდნენ მათ ვასაჭირს, სწრაფი ტემ-პით შეაკეთებდნენ კამოს ქუჩას და სას-მელი წყლით უზრუნველყოფდნენ უბნის მოსახლეობას, მაგრამ... აღნიშნული ქუ-ჩა უფრო უარეს დღეშია: ცენტრალური ქუჩის გადაკვეთაზე, თუ მძღოლი მარ-ჯვედ არ მოიქცა, შესაძლებელია ავტო-მანქანის წინა სიდი დატოვოს ნიაღვრი-საგან ჩარეცხილი ბეტონის ბორცვებ-ზე...

გარკვეული დროის დაკვირვების შემ-დეგ (ეს დაამტკიცეს ზემო წითელი უბ-ნის მცხოვრებლებმა) თურმე შესაძლე-ბელი ყოფილა, სანამ ფულის მოგრო-ვების შემდეგ თულუსჩები კასრებით არ მიუტანენ წყალს, ადამიანებმა გაძ-ლონ უწყლოდ წლების განმავლობაში. თუმცა კამოს ქუჩის ზემოუბნელები მთლად წყლის გარეშე არ არიან დარ-ჩენილები. მათ ხომ აქვთ წყლის რე-ზერვუარი, თავკომპალუბითა და სიბინ-ძურით სავსე. ეტყობა, ამ უბნის მცხოვ-რებლები „ვერ ხვდებიან“, რომ საჭიროა საკუთარი სახსრებით გააკეთონ მილ-გაყვანილობა, რის შემდეგაც შესაძლე-ბელი იქნება წყალიც მიიღონ...

ჯანო გიორგალაშვილი,  
„ნიანგის“ კორესპონდენტი.

# უოცია

სახრახნისით ავადმყოფის კბილის ოქროს გვირგვინს შეუხო...

— ლოგინში ჩაწეით, სინიორ! აბი მიიღეთ, სოდიანი ვისკი დალიეთ და მყისვე განიკურნებით! დამიჯერეთ!.. — უთხრა თავაზიანმა რადიოტექნიკოსმა, გასამრჯელოდ მოცემული ორი პესო მუჭში მოიქცია და წავიდა.

მერე ექიმის ვიზიტამდე კიდევ სხვებმაც ინახულეს ავადმყოფი საწოლ ოთახში, რომლებიც ასევე საყვარელმა ცოლმა გამოიძახა ექიმის მოშიშარი მეუღლის შესამზადებლად. ისინი იყვნენ მეცნესლური, მებარგული, სარეცხი მანქანების შემკეთებელი და ორიც —

— მობრძანდით, მობრძანდით! — უთხრა სინიორამ და კარი ფართოდ გაუღო. — ძალიან მინდა, რომ ჩემს ქმარს ყელი გაუსინჯოთ!

— უკაცრავად, სინიორა! — სიტყვა შეაწყვეტინა მომცროჩემოდნიანმა ახალგაზრდაკაცმა, — მე რადიოტექნიკოსი გახლავართ და გამოძახებით მოვედი!..

— ვიცი, ვიცი! — უთხრა სინიორამ, — მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩემი ქმარი ავად გახდა და ექიმებისადმი პანიკური შიში აქვს. მე თქვენ იმიტომ გამოგიძახეთ, რომ როგორმე შეამზადოთ ექიმთან შესახვედრად! ხომ გამიგეთ? შემობრძანდით, გეთაყვა!..

და მან ოსტატი ავადმყოფთან მიიყვანა.

— რადიოტექნიკოსი მოვიდა, ძვირფასო! — აჭიკჭიკდა სინიორა.

— რადიომიმღებს რამე დაემართა? — იკითხა ავადმყოფმა აკანკალებული ხმით.

— მაღლობა ღმერთს, ისეთი სერიოზული არაფერი! — მიუგო სინიორამ, — უბრალოდ ატმოსფერული დაბრკოლებანი აღმოჩნდა. მაგრამ ეს სიმპათიური ახალგაზრდა ძალიან გულისხმიერი ადამიანია და სიამოვნებით დამთანხმდა, ბარემ ყელშიც ჩავხედოს!..

სინიორას კეთილგანწყობილებამ და ავადმყოფის მიმნდობლობამ მოხიბლა მოკრძალებული რადიოტექნიკოსი და იგი უნებურად



ქუჩის ფოტოგრაფი. ყველა მათგანმა ავადმყოფს ყელში ჩახედა და სასარგებლო რჩევა მისცა.

ბოლოს უშმაკობამ სათანადო შედეგი გამოიღო.

— როგორ ფიქრობ, ძვირფასო, ექიმი არ უნდა გამოვიძახოთ? — უთხრა ქმარმა საკმაოდ მტკიცე ხმით მას შემდეგ, რაც იგი იმ უბნის პოლიციელმა გასინჯა.

— არა, ჩემო კარგო! — მიუგო სინიორამ, რომელიც ქმარს ჯერ მთლად მომზადებულად არ თვლიდა, — კიდევ ერთ სინიორს უნდა შენი გასინჯვა. ვფიქრობ, რომ ეს უკვე საკმარისი იქნება. ასეთი უბრალო რამისათვის რად უნდა შევაწუხოთ ექიმი? აი, ეს სინიორი ამკრეფია... ამკრეფი... ოლონდ აღარ მახსოვს, რისი!..

— გადასახადების! — მიუგო მორიგმა მომსვლელმა და ყოველი ბგერა მკაფიოდ წარმოთქვა.

ავადმყოფმა შეძრწუნებული თვალებით შეხედა, წარმოუდგენლად სამწუხარო შემოსავალსა და გასავალზე რაღაც წაილულულა და გონება დაკარგა!..

როცა ნამდვილი ექიმი მოვიდა, მედიცინა უკვე უძლური აღმოჩნდა!..



თარგმნა შოთა აშირანაშვილმა



სატიკისა და იუმორის მონარალი ტენიანი... (1758). თებერვალი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ პოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ალექსიანი (პასუხისმგებელი მდივანი), ვახუა ამირეჯიბი, ნოზა ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ მაღალაშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჭანუდ ჩარკვიანი, თამაზ წიფვიძაძე, ნაფი ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნღუა

გადაცვა ასაწყობად 21.01.88 წ. ხელმოწერილია დასაბუღებად 22.02.88 წ. ქალაქის ზომა 60x90/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კბცის გამოცემლობა, ლენინის 13. შეაკ. 158 უე 01250 ტირაჟი 140000 ქურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემა ნქანის — 99-76-69.

სატირიკო - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ. ინდექსი 76137

7-875

88-106

საბ. ბ. მთავრობის

საქართველოს  
საბჭოთავო  
ზოგადი



საბჭოთავო